ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების, ერთობლივი შემოქმედებითი ღონისძიებების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით აიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურს ურთიერთშეთანხმებით გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები და სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს სტუდენტების მომზადებაში. განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტიზაში.

1.5. საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის სემინარების ჩატარებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდიკის საკითხებზე.

1.6. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, საკონცერტო-სანახაობით წარმოდგენებს, გამოფენებს და სხვ.

1.7. უზრუნველყოფენ უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

აიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი — ხ. აფაქიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია

20.02.2012 წელი